



ქალთა ხმა

საინფორმაციო ბიულეტენი #8

2017 წლის აგვისტო

მომზადებულია პროექტის
„ქალთა უფლებების გაძლიერება დასავლეთ საქართველოში“ ფარგლებში

მხარდამჭერი - ორგანიზაცია



ნომრის თემა

ადვოკატირება - ერთ-ერთი სეგმენტი ძალადობის პრევენციის დროს

ფონდი „სოხუმის საქმიანობაში პრობლემათა ადვოკატირება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ბლოკია. ქალთა მხარდაჭერის ცენტრების მობილიზატორთა ანგარიშებში უხვად იპოვით სხვადასხვა პრობლემის, მათ შორის სოციალურ საკითხთა ადვოკატირების მაგალითებს ექვსივე მუნიციპალიტეტში (ქუთაისი, ხონი, წყალტუბო, სენაკი, ფოთი, ზუგდიდი).

რას ნიშნავს ადვოკატირება, რა საერთო აქვს, ან რა კავშირშია ძალადობასთან, და საერთოდ, რამდენად შესაძლებელია ადვოკატირება მოვიაზროთ პრევენციულ მექანიზმებში.

ამ და სხვა შეკითხვებზე პასუხების მისაღებად გავერკვეთ ადვოკატირების ძირითად არსში, მიზნებსა და ამოცანებში.

ადვოკატირება არის:

- აქტიურობა საკუთარი და სხვისი ინტერესების დასაცავად
- მოქმედებები ცვლილებების მისაღწევად
- ზემოქმედება საზოგადოებრივ აზრზე
- გაერთიანება, მხარდაჭერა ცვლილებების მოსახდენად

ამ და სხვა ტიპის განმარტებებს უხვად იპოვით განმარტებით ლექსიკონში. განსხვავებული ფრაზების მიუხედავად, თითოეული მათგანი ადვოკატირების პროცესის შინაარსს განმარტავს, მის ძირითად დანიშნულებას გვეკარნახობს.

თვითონ ადვოკატირების პროცესს საინტერესო ისტორია აქვს. იგი თურმე წარმოიშვა ძველ რომსა და საბერძნეთში, როცა კარგად მომზადებული, ორატორული ნიჭით გამორჩეული ადამიანები გამოდიოდნენ ადვოკატების როლში და ცდილობდნენ საზოგადოების ამა თუ იმ ნაწილის ინტერესების დაცვას. მათ არაფერი ჰქონდათ საერთო სამართლებრივ სტრუქტურებთან, არც შესაბამისი სტატუსი გააჩნდათ, მაგრამ საზოგადოებისგან განსაკუთრებულ მხარდაჭერას ყოველთვის იღებდნენ. ასეთი ადამიანები ცვლილებების მოსახდენად იყენებდნენ მიმართვებს, წერდნენ წერილებს, მართავდნენ აქციებს და ხმამაღალი სიტყვით მოუწოდებდნენ მოქალაქეებს არსებულის შეცვლას. ადვოკატირების უმთავრესი მისია სწორედ ეს არის, ცვლილება უკეთესობისკენ.

სიტყვა „advocacy“ წარმოიშვა სიტყვიდან „advocare“ და ნიშნავს „მოწოდებას, მხარდაჭერას ცვლილებისათვის.“

არაერთი განმარტების მიუხედავად, ადვოკატირებაზე მუდმივად არსებობს მითები და მცდარი შეხედულებები, რაც ხშირად არასწორ წარმოდგენას უქმნის საზოგადოებას და ამუხრუჭებს მას იმოქმედოს ცვლილებისათვის:

მაგალითად, ადვოკატირება ხშირად სასამართლოსთან, არბიტრაჟთან, ადვოკატთან ასოცირდება, თუმცა, მას ადვოკატთან საერთო არაფერი აქვს, ქმედებას რიგითი მოქალაქეები ახდენენ.

ბევრისთვის ადვოკატირება ქუჩაში მეგაფონით სიარული, ან მასობრივ დემონსტრაციებში და საპროტესტო მიტინგებში მონაწილეობაა, რაც ხშირად შთამბეჭდავი არ არის და მხოლოდ პოლიტიკასთან ასოცირდება. ადვოკატირება „ეება“ პოლიტიკას, მაგალითად, კანონმდებლობის გარკვეული საკითხის მოგვარება, მაგრამ უფრო ხშირად სოციალური და ინტელექტუალურია და გულისხმობს იმათი აზრების გახმოვანებას, ვისაც ხმის უფლება არ გააჩნია.

მიუხედავად იმისა, რომ ადვოკატირება, ძირითადად, განისაზღვრება, როგორც სხვების სახელით ლაპარაკი, მისი ერთ-ერთი მიზანია საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება გარკვეულ საკითხებთან დაკავშირებით.

ჩვენ უკვე განვიხილეთ ადვოკატირების მნიშვნელობა, მისი ფილოსოფია და მიზანი, ასევე გავაქარწყლეთ ზოგიერთი გავრცელებული არასწორი მითი მის შესახებ.

უკვე ვიცით, რომ ადვოკატირება ეს არის მეთოდები ან მიდგომები, რომლებიც გამოიყენება არსებული რეალობის შესაცვლელად, რეფორმების დასაწყებად.

თუ ადვოკატირება ნიშნავს მხარდაჭერას ცვლილებისთვის, სხვისი აზრების გახმოვანებას, მისი კავშირი ქალთა მიმართ ძალადობასთან ძალიან მარტივია. ცვლილება სწორედ ძალადობას სჭირდება, პრევენცია არსებულის გარდაქმნას, რეფორმას, სხვა მიდგომების გამოყენებას გულისხმობს.

ადვოკატირება, ანუ სხვისი აზრების გახმოვანება, მათივე ინტერესების დაცვით - როგორ ახერხებენ ამ ცვლილებას ფონდი „სოხუმის“ ქალთა მხარდაჭერის ცენტრები. როგორია წარმატებული ადვოკატირების მაგალითები - ამ კითხვებზე პასუხის გაცემა არ გაგვიჭირდება თუ ქალთა მხარდაჭერის ცენტრების მობილიზატორთა ყოველთვიურ ანგარიშებს გავეცნობით.

ქეისების შინაარსიდან გამომდინარე, კარგად ჩანს, რომ მთავარი ღერძი ძალადობის პრევენცია და მსხვერპლთა დაცვაა. ამ საკითხების ადვოკატირება განსაკუთრებით რთულია, რადგან საზოგადოებაში დღემდე ტაბუ ადევს ოჯახურ თემებს. განსაკუთრებული ძალისხმევა და გაორმაგებული მუშაობაა საჭირო მათთან მუშაობისას. თუმცა გამოცდილება, მსხვერპლთან მუშაობის ტექნიკა იძლევა საშუალებას, ადვოკატირება ამ მიმართულებით წარმატებით დასრულდეს.

„ანა 17 წლის გათხოვდა. ირაკლი მასზე 14 წლით იყო უფროსი. განათლებული, ჭკვიანი ბიჭი იყო და ანას მოხიბვლა არ გასჭირვებია. ქორწინებიდან რამდენიმე თვეში ურთიერთობა მალევე დაიძაბა. ქალაქიდან სოფელში გადასვლა მისთვის რთული აღმოჩნდა. საოჯახო საქმეები ოჯახში შესვლისთანავე გადმოაბარეს, რადგან ოჯახში დედამთილი გარდაცვლილი იყო.

ანამ მალევე იგრძნო, რომ საყვარელი ადამიანი მის მიმართ სულ უფრო უხეში გახდა. ამას დაემატა ეჭვიანობა. მისი გაკეთებული არაფერი მოსწონდა, დასცინოდა. ბავშვის გაჩენის შემდეგ სიტუაცია კიდევ უფრო გაართულდა. საყვედურები არ ილეოდა: - დედასთან ყოველთვე რატომ უნდა იარო, შენ უკვე ოჯახი გყავსო. თუ ბაზარში წავიდოდა: ფულს ნუ გაფლანგავ, ზედმეტი არაფერი იყიდო.

ანას მალევე დაეტყო სახეზე სევდა, დაითრგუნა, სითამამე დაკარგა. არც საკუთარი თავის მოვლა ახსოვდა“.

მობილიზატორებმა ანას ისტორია დედისგან შეიტყვეს. დედას ძალიან უნდოდა მისი შვილი ფსიქოლოგთან მისულიყო, რადგან მისი მდგომარეობა ძალიან აწუხებდა. მაგრამ ანა ეწინააღმდეგებოდა, ქმრის შიშით.

ადვოკატირების პროცესი ამ საკითხზე მალევე დაიწყო. მობილიზატორები შეხვდნენ ანას და შეხვედრაზე მოიწვიეს. მან ამაზე უარი განაცხადა. ჩემს საქმეს მე თვითონ მოვაგვარებო. გარკვეული პერიოდის შემდეგ ანამ თვითონ ითხოვა შეხვედრა. საუბრისას გაირკვა, რომ ქმარი ფიზიკურად უსწორდებოდა. ბავშვთან ერთად დედასთან იყო გამოქცეული. მობილიზატორები ესაუბრნენ, აუხსნეს, რომ ის ძალადობის მსხვერპლი იყო, უნდა ეფიქრა მდგომარეობის შეცვლაზე, სიტუაცია მისით არასოდეს გამოსწორდებოდა.

შეხვედრა მშობლებთანაც გაგრძელდა. თავიდან ისინი მხარდაჭერას არ უცხადებდნენ ანას, რადან მათი ნებართვის გარეშე დაქორწინდა, ამას ვერ პატიობდნენ. განქორწინების წინააღმდეგი იყო ქმარიც, რომელიც ანას ბავშვის წართმევით ემუქრებოდა. მას მიეწოდა ინფორმაცია, სამართლებრივად რისი უფლება ჰქონდა.

ექვსი თვის შემდეგ ანამ, მშობლების მხარდაჭერით განქორწინების გადაწყვეტილება მიიღო. ბავშვთან ერთად დედასთან დაბრუნდა. სასამართლოს ძალით ბავშვს ალიმენტი დაენიშნა და მამას ბავშვის ნახვის დღეები სამართლებრივად განესაზღვრა. ანამ შემდეგ პროფესიულ სასწავლებელში სტილისტობა ისწავლა და სამუშაოც მალე გამოუჩნდა. პრობლემები, რა თქმა უნდა, ამით არ დასრულებულა, მაგრამ მინც საკუთარი თავის პატრონო თვითონ არის, საფრთხეს არ გრძნობს და ამით კმაყოფილია.

ადვოკატობა ყოველთვის წარმატებული არ არის, საქმე განსაკუთრებით საფრთხილოა მაშინ, თუ ოჯახურ კონფლიქტებს ეხება. განქორწინება ყოველთვის არ არის საუკეთესო გამოსავალი. ფონდი „სოხუმი“ ქეისებში წარუმატებელი ადვოკატობის მაგალითებიც არის. არის შემთხვევები, როცა განქორწინებული ქალი შვილებთან ერთად მარტო რჩება, ვერ იწყებს სამსახურს ბავშვების გამო, არა აქვს თავშესაფარი და ხშირად უარეს მდგომარეობაში ვარდება. იძულებულია, მოძალადე ქმარს ისევ დაუბრუნდეს.

ადვოკატობის განსაკუთრებული მნიშვნელობა სწორედ ის არის, რომ კამპანიის დაგეგმვისას ყველა შესაძლო დეტალი წინასწარ იყოს გათვლილი. ყველაფრის მიუხედავად, პროცესები კარგად წარმოაჩენს, რა ხარვეზები არსებობს მსხვერპლთა დახმარების საქმეში. ყველაზე დიდი ხარვეზი მსხვერპლისთვის თავშესაფარია, თუნდაც დროებით. სტატუსის მინიჭება დროში გაწეილი იყო. თავშესაფარში მოხვედრაც საკმაოდ რთული. არსებული გამოცდილებიდან გამომდინარე, ფონდი „სოხუმი“ პარალელურად ისეთი საკითხების ადვოკატობას ეწევა, რომელიც ხელს უწყობს სამართლებრივად გამართული მექანიზმების შექმნას მსხვერპლთა დახმარების საქმეში.

2015 წლიდან ფონდი „სოხუმი“ შეყვანილია ძალადობის აღკვეთის ღონისძიებათა განმახორციელებელი საუწყებათშორისო საბჭოს საკონსულტაციო ჯგუფში, როგორც შესაბამის სფეროში საქმიანობის განმახორციელებელი ორგანიზაცია, რომლის მოვალეობაა საუწყებათშორისო საბჭოს კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე სარეკომენდაციო ხასიათის წინადადებების მომზადება.

გარდა ამისა, ფონდი „სოხუმი“ საუწყებათშორისო საბჭოს მიერ ჩატარებული კონკურსის შედეგად გახდა ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის განმსაზღვრელი ჯგუფის (მსხვერპლის იდენტიფიცირების ჯგუფის) წევრი. ორგანიზაციის ეს მანდატი უფრო მეტად უზრუნველყოფს კანონის იმპლემენტაციის კუთხით საჭირო ინფორმაციის ხელმისაწვდომობას და სახელმწიფო და სოციალურ ინსტიტუტებთან თანამშრომლობას ამ მიმართულებით.

ფონდს „სოხუმს“ რამდენიმე წელია შესაძლებლობა აქვს, რეკომენდაცია გაუწიოს ძალადობის მსხვერპლ ქალებს და მიანიჭოს მათ მსხვერპლის სტატუსი. ამით მსხვერპლთა დახმარება ბევრად უფრო ეფექტური გახდა. რადგან ძალადობის მსხვერპლ ქალს სტატუსი საშუალებას აძლევს, შვილებთან ერთად მოხვდეს თავშესაფარში და ისარგებლოს ყველა სერვისით. დროებითი თავშესაფარი ეხმარება მათ, შეცვალონ თავიანთი ცხოვრება. ფონდი „სოხუმი“ არაერთი რეკომენდაციის და

ინიციატივის ავტორი იყო სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად, შედეგად სახელმწიფო სტრუქტურების დაინტერესება ამ საკითხებისადმი ბევრად უფრო მაღალია.

ქალთა მხარდაჭერის ცენტრების მობილიზატორების მიერ ანონიმურად ივსება მსხვერპლის ანკეტა, რომლებიც მუდმივ კონტროლზე არიან. ისინი სისტემატურად მუშაობენ კონფლიქტურ ოჯახებთან. იწვევენ შეხვედრებზე, ფსიქოლოგთან და იურისტთან კონსულტაციებზე. აქტიური მუშაობის შედეგად - გაზრდილია ქალთა მხარდაჭერის ცენტრების ცნობადობა და მოქალაქეთა მომართვიანობა.

ფონდი „სოხუმის“ ქეისებში მრავლად არის სოციალურ საკითხთა ადვოკატირების მაგალითები. მობილიზატორებს ხშირად უწევთ მოქალაქეთა ინტერესების დაცვა სხვადასხვა ყოფით საკითხებზე. სოციალური საკითხები ხშირად ხდება ადვოკატირების დაწყების მიზეზი.

ფონდი „სოხუმის“ ქეისებიდან

„ბინის სარდაფში საკანლიზაციო მილი იყო გაფუჭებული. სადარბაზოში საშინელი სუნი დგებოდა. ბინის მცხოვრებლებმა რამდენჯერმე დარეკეს შესაბამის სამსახურში, მაგრამ არავინ მოდიოდა, რადგან მილის გაფუჭების შემთხვევა პირველი არ იყო, შეკეთებას აზრი არ ჰქონდა. საჭირო იყო რამდენიმე სანტიმეტრიანი მილის გამოცვლა. შესაბამისად, თანხების აკრეფა მოქალაქეებში. თანხები თანაბრად გადანაწილდა, რამაც ზედა სართულების უკმაყოფილება გამოიწვია. მეზობლებს შორის კონფლიქტი აქედან დაიწყო.

ჯგუფი ორ ბანაკად დაიყო. ქვედა სართულის მეზობლები განსაკუთრებით აქტიურობდნენ.

- ზედა სართულამდე სუნი არ აღწევს, პრობლემა თქვენ არ გაწუხებთო. - პრეტენზიები ჰქონდა ერთ მხარეს.

- სახურავიდან წყალი რომ ჩამოდიოდა, მაშინ მშვიდად იყავით, ერთიანობა არ გეტყობოდათო, - პასუხობდა მეორე მხარე.

კონფლიქტი რამდენიმე კვირა გრძელდებოდა. ორივე მხარე ერთმანეთის ჯიბრზე ცდილობდა ამ საშინელების ვაჟკაცურად ატანას, სადარბაზოში პირაკრული ადიოდნენ და კარებს სასწრაფოდ ხურავდნენ.“

მობილიზატორმა ამის შესახებ საინფორმაციო შეხვედრაზე გაიგო.

ამის შემდეგ პროცესის ადვოკატირება დაიყო. პრობლემის მოგვარებამდე აუცილებელი იყო საინფორმაციო შეხვედრები კონფლიქტის მოსაგვარებლად, რათა ადვოკატირების პროცესი წარმატებული ყოფილიყო. ორივე მხარეს კარგად განემარტა, რომ პრობლემის მოსაგვარებლად მხოლოდ ერთიანობა იყო საჭირო და ცვლილება უკეთესობისკენ მხოლოდ მხარდაჭერით მიიღწეოდა. შემდეგ ადვოკატირებისათვის აუცილებელი ყველა ეტაპი გაიარეს. მოიძიეს ინფორმაცია, ვის ევალებოდა პრობლემის მოგვარება. შეგროვდა ხელმოწერები. დაიწერა განცხადება ადგილობრივ მერიაში. შეადგინეს ხარჯთაღრიცხვ, რა თანხები იყო საჭირო მილის გამოსაცვლელად.

შეგროვდა საჭირო თანხები, შემდეგ ჩაერთო ადგილობრივი სამსახურები და პრობლემა დადებითად გადაწყდა

სოციალური საკითხების ადვოკატირება, ძირითადად, ადგილობრივ ხელისუფლებასთან თანამშრომლობით ხორციელდება. მობილიზატორებს არაერთხელ გაუვლიათ ტრენინგი ადვოკატირების საკითხებზე. ისინი თავიანთ მუნიციპალიტეტებში ყველაზე ინფორმირებული ადამიანები არიან. სისტემატურად ესწრებიან საკრებულოს სხდომებს, ხვდებიან სხვადასხვა სტრუქტურის წარმომადგენლებს, ეცნობიან ადგილობრივ პროგრამებს და შემდეგ სამობილიზაციო თუ სხვა ფორმატის შეხვედრებზე ავრცელებენ ინფორმაციას. ინფორმირებული მოქალაქეები უფრო აქტიურები ხდებიან, თავიანთ საცხოვრებელ ადგილებზე, კოლექტიურ ცენტრებსა თუ სხვადასხვა დაწესებულებაში თავადვე ცდილობენ ადვოკატირებას სხვადასხვა პრობლემის მოგვარებისთვის.

მაგრამ სამუშაო ჯერ კიდევ ბევრია. საზოგადოების დიდმა ნაწილმა არ იცის, როგორ წარმართოს ადვოკატირების პროცესი, რას გულისხმობს ადვოკატირების კამპანია. როგორ უნდა დაიგეგმოს კამპანიის სტრატეგია.

პირველი და იუცილებელი პირობა, რაც ყველამ უნდა იცოდეს:

ნუ დაელოდები იმას, რომ შენს ნაცვლად სხვები მოაგვარებენ შენს პრობლემებს, შენს ნაცვლად სხვები მოახდენენ ცვლილებებს. ადვოკატირებისთვის არ არის აუცილებელი, გქონდეს რაიმე განსაკუთრებული ცენზი ან ტიტული. ადვოკატირება საკუთარი ინტერესების დაცვაა და ნებისმიერ მოქალაქეს შეუძლია იაქტიუროს ამ მიმართულებით.

ადვოკატირების კამპანიის სტრატეგია

ადვოკატირების პროცესის დაწყებამდე, აუცილებელია მოვახდინოთ პრობლემის იდენტიფიცირება. რამდენად არის შესაძლებელი მისი გადაწყვეტა ჩვენს ხელთ არსებული რესურსებით. ამისთვის კი აუცილებლად გვჭირდება ინფორმაცია. რაც უფრო მეტად ვართ ინფორმირებული, მით უფრო მეტი შანსი გვაქვს, მივიღოთ წარმატებული შედეგი.

ადვოკატირების კამპანია უნდა იყოს ორგანიზებული, მიზანმიმართული ქმედება ცვლილების მისაღწევად. კამპანიის დაწყებამდე ორგანიზატორებმა უნდა მოაგროვონ სრული ინფორმაცია იმ საკითხის გარშემო, რომლის ცვლილების კამპანიასაც გეგმავენ.

რისი ცოდნა არის აუცილებელი კამპანიის წამოწყებამდე:

- სრულად უნდა ვიცოდეთ პრობლემის გარშემო არსებული სიტუაცია. რა არის ცნობილი არსებული საკითხის გარშემო, ვინ უწყობს ხელს პრობლემის არსებობას, როგორ ავაგოთ ურთიერთობები (ადამიანები, რომელთანაც ვურთიერთობთ - სახელმწიფო მოხელეები, მედიის წარმომადგენლები, დევნილები, ახალგაზრდები), ვინ არიან ჩვენი თანამოაზრეები, როგორ ვიპოვოთ მხარდამჭერები, ვინ შეიძლება გახდეს პარტნიორი.

- ვისზე იქონიებს კამპანია დადებით და უარყოფით გავლენას - ამის ცოდნა აუცილებელია, რომ ერთი ჯგუფის ინტერესების დაცვისა და მიღწეული ცვლილებების შედეგად არ დაზიანდეს სხვა ჯგუფი, რომლის უფლებებიც ასევე გასათვალისწინებელია.
- უნდა ვიცოდეთ რა ტიპის ცვლილებებმა შეიძლება გამოასწოროს მდგომარეობა.
- რა ინსტრუმენტების გამოყენება იქნება უფრო ეფექტური. შეხვედრები სხვადასხვა სტრუქტურებთან, დემონსტრაციები ქუჩებში, ახალგაზრდების მობილიზება, კამპანია სოციალურ ქსელებში და სხვა - ან შესაძლოა ყველაფერი ერთად.
- კამპანიის დაწყებამდე დაგროვილი ინფორმაცია უნდა გამოვიყენოთ ეფექტური სტრატეგიის ჩამოსაყალიბებლად. კარგად შედგენილი სტრატეგია დაგვეხმარება შემდგომი ნაბიჯების დაგეგმვაში, გამოყენებული მეთოდების გაუმჯობესებაში.
- ადვოკატირების პროცესის დასრულების შემდეგ აუცილებელია მნიშვნელოვანი მომენტების გააზრება, ყველა საფეხურის გაანალიზება, რომ დავინახოთ წარმატებული თუ წარუმატებელი ნაბიჯები. ეს გამოცდილების გამდიდრების, ადვოკატირების პროცესის გაუმჯობესების საუკეთესო საშუალებაა.

რჩევა ყველას, ასაკის თუ სოციალური სტატუსის მიუხედავად

თუ თქვენ არ მოგწონთ თქვენს ირგვლივ არსებული გარემო, ხართ მოწადინებული ცვლილებისაკენ, ნუ დაელოდებით იმას, რომ თქვენს ნაცვლად ვიღაც მოვა და თქვენს გასაკეთებელს გააკეთებს.

სწორად დაგეგმილი ადვოკატირების კამპანია მოგვარებული პრობლემის ტოლფასია.

დაიწყეთ! თქვენ თვითონ გახდით ორგანიზატორი და იმოქმედეთ ცვლილებების მისაღწევად. იპოვეთ მხარდამჭერები, შეიმუშავეთ სტრატეგია და იმოქმედეთ! ყოველი მოგვარებული პრობლემა ადვოკატირების ახალი ეტაპის მოტივაციას იძლევა.

... და ბოლოს, წერილის დასაწყისში დასმული მთავარი შეკითხვა - რა საერთო აქვს, ან რამდენად შესაძლებელია ადვოკატირება მოვიაზროთ ძალადობის პრევენციულ მექანიზმებში - პასუხგაცემულია.

მოუგვარებელი სოციალური პრობლემები ხელსაყრელ გარემოს ქმნის ოჯახური კონფლიქტების განვითარებისთვის. მაგალითად, გაფუჭებული წყლის მილი, პირველ რიგში, ქალებისთვის არის დისკომფორტი. ქმარი ნაკლებად კითხულობს მიზეზს, რატომ დაგვიანდა საჭმლის კეთება, რატომ ვერ დაირეცხა სარეცხი, რატომ დასჭირდა ამდენი დრო სახლის დალაგებას. კონფლიქტის განვითარების ალბათობაც, შესაბამისად, მაღალია.

სოციალურ პრობლემათა ადვოკატირება არ ნიშნავს მხოლოდ ერთი კონკრეტული საკითხის მოგვარებას. თვითონ პროცესი ქმედებათა ჯაჭვია, რომლის თითოეული

რგოლი გულისხმობს ქალთა ინფორმირებას, მათ გააქტიურებას, თვითშეფასების ამაღლებას, განსხვავებულ იმიჯს ოჯახსა და საზოგადოებაში.

...და რაც ყველაზე მთავარია, რაც უფრო ინფორმირებული, აქტიური და ძლიერია ქალი, მით უფრო ნაკლებია ალბათობა, რომ ის ძალადობის მსხვერპლი გახდეს.

ფონდი „სოხუმის“ საქმიანობაში სწორედ ამიტომაც არის ადვოკატირება ერთ-ერთი მთავარი ბლოკი. სოციალურ საკითხთა ადვოკატირება პირდაპირი გზაა ქალთა გამძლიერებისკენ, რასაც საბოლოოდ ძალადობის პრევენციისკენ მივყავართ.

**მიმართეთ ფონდი „სოხუმის“ ქალთა მხარდაჭერის ცენტრებს,
მიიღეთ უფასო ფსიქოლოგიური და იურიდიული კონსულტაციები**

ქუთაისის ქალთა მხარდაჭერის ცენტრი - მგალობლიშვილის ქ. 6

579 93 28 28

ხონის ქალთა მხარდაჭერის ცენტრი - სამხედრო დასახლება, კორპუსი 98

579 70 84 84

571 85 42 42

სენაკის ქალთა მხარდაჭერის ცენტრი - ბარათაშვილის 13

579 27 94 94

571 85 39 39

ფოთის ქალთა მხარდაჭერის ცენტრი - ახალი რაიონი, გაგრის ქუჩა 10/9

597 89 25 25

597 15 72 74

ხურჩა/კოკის ქალთა მხარდაჭერის ცენტრი - სოფელი ხურჩა

574 96 27 27

571 76 48 48

წყალტუბოს ქალთა მხარდაჭერის ცენტრი - ახალი დასახლება, 9 აპრილის ქუჩა 3/17

597 54 92 92

592 81 68 68

წარმატებებს გისურვებთ!